

ს. 5

ქვემოთხედი

1923





ოქტომბერი

№ 10

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახორციელებელი პრეტორი
შ უ რ ნ ა ლ ი

ოქტომბერი 1935 წელი

მისამართი: ტფილისი, კიროვის ქუჩა № 7

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83-
1. საოქტომბრო (ლექსი) — ს. წიგვილია	1
2. წითელი დღე (მოგონება) — პაპა ლადოვი	1
3. ნიშა (ლექსი) — გიორგი კაჭხიძე	3
4. ნიას ქორა (მოთხ.) — კლავდია დედუაშვილი	3
5. საოქტომბრო მზადება (ლექსი) — მიხეილ ებრაღიძე	6
6. საღ ჯობია (მოთხ.) — ბორის ჩხეიძე	6
7. ოქტომბრელი (ლექსი) — არნო ონელი	7
8. ახალი სკოლა (მოთხ.) — ლავრ. კვიციანი	8
9. სოფლიდან ქალაქისკენ (ლექსი) — გიორგი ჭურჭელი	9
10. ფისო და თავუნა (მოთხ.) — იასონ ნიკოლაიშვილი	9
11. ყარანა (ლექსი) — გ. კალანდანი	11
12. სოფლური (ლექსი) — შიმკრაღი	11
13. ბავშვების საყვარელი მწერალი — ბაბო კაქიაშვილი	13
14. პატარა ბურჯოს სიმღერა (ლექსი) — ნიკოლოზ ფხაკაძე	14
15. სიმალღებების დამპყრობელი — ნ. ე-ძე	14
16. გედი და მამალი (ლექსი) — ი. ხინგვილი	15
17. ბაბუას ნამზობი (მოთხ.) — თამარ ოყრეშიძე	16
18. ბურთი (ლექსი) — ილია ხიხარული	18
19. ყურძნის კრეფა — ნ. შველიძე	18
20. მელა და ბატები — ძმ. ვრიშების ზღაპარი	19
21. კლწი (ლექსი) — ხანდრო ფლენტი	20
22. „ქკუა“ (იგივე) — გ. ლომთათიძე	20
23. საკვირველი ხე (თავი წიგნიდან „კოლიდა“) — რ. ქორჭიახი	21
24. უმოქმედონი (იგივე) — გ. ლომთათიძე	22
25. „ბუ“ — ლ. ჩადუნელი	23
მხატვარი — დონი	

პ/მგ. რედაქტორი ბაბო მამიაშვილი, პ/მგ. მდივანი ლ. შიშინაძე

სარილ.კოლ.წიგნები: { ლ. ხანატარაშვილი, ლიდა გახვიანი, ან. ლენიაშვილი, შ. თაბუკაშვილი, ცვიტი.



საზეიმოდ მოკაზმულა
მოედანი, ქუჩა;
აზეირთებულ ხალხთა რაზმებს
ბოლო აღარ უჩანს.

რაზმი რაზმებს მისდევს მწყობრად,
ძღვევის პანგებს მღერის
და დროშების ხეივანი
ჩნდება ცეცხლისფერი.

დღეს ოქტომბრის ზეიმი გვაქვს,
ვეგებებით შევებით,
სიამაყით, ხალისით და
ახალ გამარჯვებით.

დიდ ოქტომბრის ძღვევის დროშას
დახრილს ვერვინ ნახავს, —
მწვერვალები დავიპყარით,
კვლავ დავიპყრობთ ახალს!

ბ. წიხელი

წითელი დღე

გემი დატვირთულია, ნოვოროსისკიდან ბა-
ტომისკენ ვაპირებთ გამგზავრებას. მე ქალაქის თე-
ატრში წავედი. წარმოდგენა გადადებულია. ქა-
ლაქში არაჩვეულებრივი მოძრაობაა. პაერი გა-
კლენთილია სხვადასხვა ცნობებით. გამწვლელები
ერთმანეთს ეჭვობენ. გზაში ან ჯარისკაცე-
ბი, ან შეიარაღებული მუშები მხედებიან. რაღაც
დიდი ამბავი ხდება, მაგრამ რაა — ეს არავინ
იცის. შიშმა ამიტანა და ისევ ნავსადგურისკენ
გავეშურე. გემს რომ მიუეახლოვდი, მეზღვეურთა
კავშირის თავმჯდომარე კაპიტანი ალექსევი
შემომხვდა, თავიდან ფეხებამდის შეარაღებული
იყო. თან ახლავს რკივლად დარაზმული ახალ-
გაზრდა.

— ალექსევი, რა ხდება ქალაქში, რაშია
საქმე? — ვკითხე.

— არც დრო არის და ვერც გეტყვი ამა-
ლამ ზღვაში არ წახვიდე. ხვალ აღდგომაა. დი-
ლას მთელი შემადგენლობით მოდით საზაფ-
ხულო თეატრში, ყველაფერს იქ შეიტყობ.
ხალხი გააფრთხილე, ამაღამ გემზე იყვნენ. თუ

საქირო იქნა, დაგიძებნით... მთვრალი არ იყოს
ვინმე! — მოამაყარა სიტყვები ცერცვივით და
გაიარა.

გემზე რომ ავედი, იქაც ჩოჩქოლია.

— ხალხი გემზეა? — შევეკითხე მორიგეს.

— გემზეა. დარაჯებმა გააფრთხილეს, ქალა-
ქში ნუ დადიხართო. კავშირიდან წინადადება
მოვიდა, იარაღით მზად იყავითო. ხომ არ იცით,
ამხანაგო კაპიტან, რაშია საქმე?

— არა. ქალაქში რაღაც ხდება. ახლა
ალექსევი გემზეა, მაგრამ ვერაფერი მითხრა;
თუ საქირო იქნებით, დაგიძებნითო, ხვალ აღდგო-
მააო.

— ჩოჩქო ვეო ზნაეტ! როდის ყოფილა
აღდგომა ოქტომბერში... ხვალ ყველაფერს გავი-
გებთ. მორიგე თანაშემწე, შეატყობინეთ მანქანა-
ში, დილას არ მივდივართ, ორთქლი არაა საქი-
რო. თუ რამე მოხდეს, გამაღვიმეთ.

— არის. ორთქლი არ გვკირია, — მიპასუხა
მორიგემ.

— აბა თავისუფლად, დაიძინეთ.



— არის.

მაგრამ არცერთი არ დაიძრა აღვილიდან. ადვილი სათქმელია „დაიძინეთ“. ვის დაეძინება ამ არაჩვეულებრივ ღამეში!

ირგვლივ სირუშეა. ზოგი ჯგუფი ამ სირუშეში საღდაც მიიჭარბის. ვის დაეძინება ამ შფოთიან ღამეში, და არც მე მეძინება. მაგრამ ვარეთ არ გამოვდივარ. ასე გავიდა ღამე. უკვე თენდებოდა, როცა ჩავთვლიძვე.

— ყველა გეგმებზეა, ფლაგები აწეულია, ქალაქში დროშებია, — მომესმა მორიგეს ხმა. წამოვხტე.

გამოვედი გემბანზე. მართლაც საგანგებო სურათია; ირგვლივ დროშები. ყველგან სიხარული მეფობს. მართლაც აღდგომა! ინტერნაციონალის ხმა. საქმელს აღარავინ ელის, რა დროს საჭმელია! საქპაროდ შევეგროვდით და გავეშურეთ საზღვებზე თეატრისკენ. აქ ტყეა არ არის, ხალხი კი მოდის, მოთმინება აღარ არის. ხალხში ვაისმის სიტყვები „სახალხო კომისრები“, „ბოლშევიკური მთავრობა“, „ლენინი“, „ავრორა“, „პეტროგრადი“, „მოსკოვი“, „ბურჟუაზიული მთავრობა და აბატიძორეს“.

ვაიხსნა მიტინგი.

პეტროგრადში, მოსკოვში მუშებმა ვაიხარჯეს. მუშათა მთავრობა იუწყება ახალ ხანას. ტრიბუნაზე სულ ახალი ხალხია. აღარ ჩანან ვეჟილები, სიტყვების ხელოვანნი. აქ მარტო ჩვენი ამხანაგებია: მუშები, წითელარმიელები, გლეხები, მეზღვაურები. შეიძლება ლამაზ სიტ-

ყვეს ვერ ამზობენ, მაგრამ ეს უბრალო სიტყვა უფრო ხიბლავს იქ მდგომ ხალხს. ყოველი სიტყვა გულში სცემს, რადგან იგი მოგონილი არაა, აი, ამოვარდა ელექტორის დამგვედლე-მარტოვეთა და დანოვა. რომელ მუშასა და მეზღვაურს არ ახსოვს მარუსია. ჩვენ ყველანი ვიცნობდით იმას, ცქვიტი იყო მუშაობასა და ხუმრობაში. უკანასკნელ წლებში მუდამ მუშათა მოძრაობაში ღებულობდა მონაწილეობას. იგი უსწავლელი იყო, მაგრამ მუშათა საქმისათვის თავდადებული. საწყალი მარუსია შემდეგ შეგრაზმელებმა მოაკლეს.

დაუღიწყარია მისი სიტყვა.

— ამხანაგო ქალებო, — დიწყო მან, — დღეს ჩვენი განთიადია... იხარეთ... დღეს ჩვენი ნამდვილი თავისუფლების დღეა. აქამდის ჩვენ მხოლოდ მონები და პირუტყვები ვიყავით. დღეს მამაკაცების ამხანაგები ვართ. იციანთ ჩემთან, იხარეთ ჩემთან და ჩემთან ერთად იცყარეთ:



— ვაშა ბოლშევიკებს, ვაშა დიად მეზობლებს, ვაშა ჩვენ მხსნელს — ამხანაგ ლენინს!

— ვაშა, — იგრილა ხალხმა. მარუსია ხელით ვადმოიყვანეს. მრავალი ამისთანა უბრალო, მაგრამ აღმავრთოვანებელი სიტყვა ითქვა მაშინ...

ჩვენ სიხარული გვადელებდა და ამ სიხარულით მხოლოდ მეორე დღეს გათენებისას მოვიხსენით ნოვოროსისიციდან და ზღვაში შევედი.

აააა ლადო



მკერდფართო და მაღალია ჩვენი ნიშა დინჯი ხარი. რქების ახლო შუბლზე ახის მუდამ სუფთა თეთრი ხალი. ტყემლის ცოცხალ ყვავილივით ეს ნიშანი კიდევ შვენის. მინდვრებში თუ სოფლის ვხაზე ლამაზია ნიშა ჩვენი. იგი მამამ შინ გახარდა და ბავშვობა მახსოვს მისი; ანცი იყო, ვაშლის ხეებს უხეხავდა სხეულს კისრით, უხაროდა, როცა ბლახს დაარხვედა ხისქვეშ ქარი და შორს სადღაც უღარდებოდა დაიწყებდა ქრიალს კარი. ახლა ეს დრო შორს დატოვა, აღარ ცელქობს, დინჯი არის. სად სცალია, მხარს უმაგრებს დღეს კოლექტივის იგი ხარი. ძალის მქონე არ ღალატობს

დაუღალავ ხალხის საქმეს... არც იკადრებს იორგულოს, წაიჩოქოს ლაფში სადმე. ჯერ არ ახსოვთ, დამართოდეს სიზარმაცის ჩუმი სენი... მამაჩემის ჯგუფში მშრომელს არ ტყენია ჯერ კისერიც. სახელი აქვს, იცის შრომა, კაცის სურვილს ალღოს უღებს; აი, დღესაც, სიმინდს ზიდავს და აწვება კოხტად უღელს. ტვირთს არ იმჩნევს, თუმცა ურემს მიამაგრეს დილით ადრე. ისე მიდის, რომ უცქირო, გულით შრომას მოგანატრებს. გასწი ნიშავ, იყავ დიდხანს ასე კარგი, ღირსი ქების. კიდევ ბევრჯერ დამენახოს შენი მოკლე, სუფთა რქები;

გიორგი კახანიძე

ნიას ქოჩორა

— რა მშვენიერი, რა ლამაზი გახდა ჩემი ქოჩორა. — იძახდა ნია და თან ქოჩორზე ხელს უსვამდა წითელი ფერის ლამაზ დედალს.

— დედიკო, შემოხედე ჩემო დედიკო, ჩემ მშვენიერს როგორ მოუღერებია ყელი.

— ვხედავ შეილო, ვხედავ მშვენიერი.

— დედიკო უყურე, უაურე, ვიმღერებთ მედა ქოჩორა.

ნია ქოჩორა ღოყაზე მიიკრა და ნელი ხმით დაუწყო, ა, ა. ქათამაც თავი შეანძრია, ყელი გვერდზე მოიღერა და ღალანი მორთო.

დედამ გაიცინა, თავზე ხელი გადაუსვა თავის გოგონას.

— აი შე მოუსვენარო, შენა.

— ჩემი მშვენიერი ქოჩორა, ჩემი ბეზია-სეული, — მხიარულად იძახდა ნია, ქოჩორას გულში იხუტებდა და თან ცი-

ბრუტივით ტრიალებდა. დედა კმაყოფილი უყურებდა და თან ნიას დეიდას ესაუბრებოდა. — ბებიამისმა აჩუქა. არაჩვეულებრივად იცის ცხოველების და ფრინველების მიჩვევა. უყვარს ცხოველები, ისინიც გრძნობენ და სიყვარულითვე პასუხობენ.


დილით ადრე ამდგარ ნიას კალთაში საყენკი ჩაეყარა და მისი წკრიალა ხმა მთელ მიდამოს აყრუებდა.

— ჯუ, ჯუ, ჯუ და თან საყენკს უბნევდა ქათმებს. ნეტა ჩემი ქოჩორა, რაიქნა? რათ იგვიანებს? — ფიქრობდა ნია და კვლავ გაისმოდა მისი წკრიალა ხმა:

— ჯუ, ჯუ, ჯუ, მოდი ქოჩორა, მოდი, თორემ მშიერი დარჩები, — ქოჩორა კი არსად იყო. ნიას მოუსვენრობა დაეტყო და ოთახში დედას შესძახა:

— დედილო, ჩემი ქოჩორა არსად არის!

— სად წავიდოდა შეილო, აღბათ ძახილი ვერ გაიგონა.



— არა დედილო. აი რამდენი ხანია ვე-
ძახი, ყველანი მოვიდნენ ის კი არა. — ნიამ
კვლავ დაუწყო ქოჩორას ცრემლნარევი
ხმით ძახილი:

— ჯუ, ჯუ, ჯუ, — ქოჩორა კვლავ არ-
სად ჩანდა. ნიას სასოწარკვეთილებას საზ-
ღვარი არ ჰქონდა. გადააბრუნეს მთელი
ეზო, ქუჩა თუ სხვისი ეზოები, ქოჩორა მა-
ინც არ გამოჩნდა.

გავიდა დღეები.
ნიამიმედი დაკარგა ქოჩორას პოვნის
და ცხარე ცრემლით გლოვობდა თავის ბე-
ბიასეულს. დილით ეზოში აღარ ისმის
მისი წკრიალა ხმით ქათმების ძახილი.

სულ აღარ ეკარება ნია ქათმებს, აღარც
საკენს უყრის. ცრემლი მოადგება ხოლმე
პატარას ქათმების დანახვაზე.

ეზოში ნიას დედის ძახილი ისმის,
ქათმებს ეძახის დასაპურებლად.

მისი გოგონა აღარ ძხოვს ხოლმე:
— ჩემო დედიკო, აღრე გამაღვიძე,
ქათმებს მე დევაპურებო, ჯავრობს პატა-
რა თავის ქოჩორას დაკარგვას.

ძინავს ნიას ტკბილი ძილით, სიზმარ-
ში თავის ქოჩორას ხედავს. ნიას ტკბი-
ლი ძილი დედლის ხმამ დაუფრთხო.

— ნია შეილო, ადექი, ადექი, შენი
ქოჩორა დაბრუნდა.

გაცეცებული ნია ზეზე წამოვარდა,
თვალების ფშვინეტით ლოგინზე წამო-
ჯდა და დაბნეული ხმით დედას კითხა:


— სად დაბრუნდა? როდის დაბრუნდა?
— ადე შეილო, გამოდი გარეთ, თვი-
თონაც დაბრუნდა და თან მშვენიერი წი-
წილები მოიყვანა.

ნია ჩიტვივით გამოფრინდა გარეთ,
აიტაცა თავისი ქოჩორა და კოცნა დაუწ-
ყო. თურმე ქოჩორას სადღაც წიწილები
გამოუჩვენია.

— ჩემო ლამაზო, ჩემო მშვენიერო,
ჩემო ბებია-სეულო, ჩემო მოლიდინე ქო-
ჩორა, — ამ სიტყვებით უაღერსებდა იგი
თავის ქოჩორას. ქოჩორა კი კმაყოფილი
კურკურებდა და თან თავისი წიწილები-
საკენ იწვედა, თითქოს ნიას ეუბნებოდა:
„მაქციე ყურადღება, როგორი ლამაზი
შეილები მოგიყვანე, ხომ მიხედი ახლა,
რისთვის ვიყავი დაკარგულიო“.

ვახარებული ნია ჩაჯდა წიწილებში,
ფრთხილად ხან ერთს აიყვანდა, ხან მე-
ორეს და უაღერსებდა. ქოჩორა მეტად
ნასიამოვნები იყო თავის საქციელობით,
ნიასა და წიწილებს გარს უვლიდა, კმა-
ყოფილი კურკურებდა: „შემომხედეთ
როგორი ჰკვიანი ვარო“.

ქალაქიან დედაბარბანი.



„ქვემოთა მწყერი“

ო. ნაძო

ახალქალაქის მუზეუმი

წიგნის (336), სახელ- ბაჟის, ახალქალაქის მუზეუმის და საბავშვო სკოლის



მორთეს სკოლა, ოთახები,
ყვავილებით დაამშვენეს,
ხვალ სიცოცხლის მძლავრი ხმები
გაგვიტაცებს, აგვამღერებს.
ჩამოფუვლით მთავარ ქუჩებს,
სადაც ხალხი ზღვისებრ ღელავს
სად ქვემება მღუმარ ტუნებს
მხიარულად ყველა ზევრავს.
ჩვენს წითელ ჯარს
ვეტყვი ვაშას,
შევიპრდებით ახალ ძალებს...
საბჭოეთი — მზე კაშკაშა,
მშობელივით შევიყვარეთ...

ხვალ დილა გვაქვს,
დღეს ამიტომ
ყველა, ყველა
ესაქმიანობთ:
ერთი ჯგუფი ვაზეთს უშვებს,
მეორე კი ლექსებს სწავლობს
და ვინც მოვა, გვენახავს ბალებს
ტრიბუნებს და ანთებულებს,
ვმღერით გრძნობით,
ღიადი დღე
მეთვრამეტედ მოგუგუნებს.

მიხეილ მხარალიძე



ვანია კარგი ბიჭია, კარგად სწავლობს, თა-
მაში პირველია, ამოცანების ამოცანობაში და
ლექსების დახსომებაში ტოლი არა ყავს.

სუფთაობა უყვარს, სივარჯიშო ძელებზე
პროპელერით ტრიალებს.

ვანიას სამი მასწავლებელი ყავს: ანგარიშის,
ენების და ტანთავარჯიშის. მეოთხე სიმღერის
მასწავლებელი კვირაში სამჯერ მოდის სკოლაში.

მასწავლებლები ხშირად დაობენ:

— ვანია დიდი მათემატიკოსი გამოვა.

— ვანია დიდი მკოდნე იქნება ქართული-
სა, რუსულისა და ისტორიისა.

— ვანია ისეთი ფიზკულტურელი დადგება
რომ მსოფლიო შეჯიბრებებში მიიღებს მონა-
წილეობას.

— ვანია ოპერის მსახიობი იქნება.

— ვერ მოგართვით, არავისაც არ დაგით-
მობთ, ვანია უთუოდ მათემატიკის პროფესორი
იქნებაო.

ვანია თავის გულში თანახმაა მათემატიკის
მასწავლებლისა. მართლაც ამოცანების გამოყვა-

ნა უყვარს. მოელის იმ კლასში გადასვლას,
რომელშიდაც ალგებრას დააწყებებენ.

ვანიას მამა ზუსტ მანქანებს საამქროს ოს-
ტატია. დედა აფთიაქში წამლებს ამზადებს.
უშვილო ბიძა წითელ არმიის არტლევკონში
მსახურობს უფროს მეთაურად. ბიძია იმპერია-
ლისტურ ომში მეფის დროს კარგი არტილ-
ერისტი იყო. გერმანიის ფრონტზე იბრძოდა. იცო-
და ისე კარგი დამიზნება, რომ შტაბი განცვი-
ფრებაში მოჰყავდა.

მეგრე ბიძიამ, უბრალო ჯარისკაცმა, შეადგინა
პარტიზანული ჯგუფი და ებრძოდა მეფის გე-
ნერლებს, ბოჭულებს, თავადებს და ბურჟუებს.
ბიძიამ საშვედრო ცხოვრების ეპიზოდების მო-
ყალა იცის. ვანიამ კი გულმოდგინედ სმენა.
აქ შინ ნათესავეებს აქვთ დაფა:

— ჩემი ვანია ექიმი უნდა გამოვიდეს, —
ამბობს დედა.

— ვერა, დედაკაცო! ვერ მოგართვი! ჩემი
ვანია ზუსტი მანქანების მშენებელ-კონსტრუქ-
ტორი უნდა გამოვიდეს, — აცხადებს მამა.

— ერთიც კარგია და მეორეც, მაგრამ მე კარგი მემომარი მირჩევენია, კარგი არტილერიისტი წითელი ჯარის თვალია, — ურჩევს მათ ორთავეს შიდა.

ბიძა, დედა, მამა და მასწავლებლები ყველანი მზად არიან ვანიას ასიამოვნონ კარგი სწავლისთვის. სად გავავაზენათ საზაფხულო არადადადგებზე ვინია დასასვენებლად?

— მე მათქმევინეთ — ამბობს არითმეთიკის მასწავლებელი, — ვანია უთუოდ ბორჯომში დაისვენებს.

ბორჯომი საქართველოს ყოველ კუთხეს ჯობია. ტყეები ფიქვენძიანი, მინერალური წყლებით და სასახლეებით, მთები და ხეები.

— ბორჯომში წავალ! — თანახმაა ვანია.
— ბორჯომს ქობულეთი და ბათომი აჯობებს. ზღვის სანაპიროა, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, ჩაის, მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის და ციტრუსების პლანტაციებით შემკული.

— მაშ ქობულეთში წავალ, — ამაზედაც თანხმდება ვანია.

— არა, ბორჯომისა და ქობულეთის შედარება განა შეიძლება ჩვენს მთებთან? იალბუზი, ბრუდსაბულა, ყაზბეგი, უშბა. ექსპედიციას მიეცევი და ვანიასაც თან წავიყვან, — დაიჩემა ტანთვარჯიშის მასწავლებელმა.

— მთებშიდაც ვიმოგზაურობ. ეგეც კარგია. როდისთვის ეპირებით გამგზავნებან? — იკითხა ვანიამ და თავის გუნებაში გადასწყვიტა კიდევაც ყველასთვის უარი ეთქვა და ტანთვარჯიშის მა-

სწავლებელს დასთანხმებოდა, მაგრამ მამა ჩაერია ლაპარაკში:

— ჩემის ფიქრით, ახლა კახეთში კარგია, საზამთრო იქ შემოსულნა, — კალიობა დამთავრებული, ყურძენი შეთვალებული და კახეთისთანა ბუნებაც არსადაა. ჩემის ფიქრით, მას ვერ შეედრება ბორჯომი, ქობულეთი და ავეკასიონის მთები.

ვანიას ახლა უკვე გული შეექნა კახეთში წასასვლელად, მაგრამ დედამ ყველას საყვედურით განუცხადა:

— მე კი აღარ მკითხავთ სად მივდივარ? ვანიას არსადაც არ გავატანთ. სოხუმის საგზური ხელში მაქვს და ვანიაც თან მიმყავს. იქ ზღვაა, ხილიც, სასტუმროებიც, სანატორიუმებაც და დასასვენებელი სახლებიც.

— სოხუმში მივდივარ! — წამოძახა აღტაცებულმა ვანიამ, — სოხუმში ყველა კურორტებს მირჩევენია. ამა სანახავობაც იქაა.

— ამა ერთი გვითხარი, რა სანახავობა იქ უკეთესი?

- ბორჯომზე?
- ქობულეთზე?
- მთებზე?
- კახეთზე?
- მიიმუნების ფერმა! — განაცხადა ვანიამ და სახეებზე მიხვდა, რომ ყველანი დაეთანხმა. ვანია დედასთან ერთად ჩქარა გაემგზავრა სოხუმში, მაგრამ გადასწყვიტა შემდეგ წლებში მოენახულებია სხვა კუთხეებში.

ბორის ჩხეიძე

ოქტომბერი

ოქტომბრელებო, მომართეთ სამღერად გრძნობა და გული, გაშლილა გზა და მიზანი ლაქვარდით მოფარდაგული.

ლიმილს და დროშებს რომ ანთებთ — მაგ ხმებში რა არ ვიცანი! მოგაქვთ ძვირფასი ნობათი: ყვავილნი ოქტომბრისანი.

გიყვართ ბეჯითი შრომა და სწავლაში არას იზარებთ; სკოლა გყავთ ერთგულ ქომაგად, ოქტომბრით განაღვიძარი.

თქვენია ჩვენი მყოფადი, ლაქვარდით მოფარდაგული, ოქტომბრელებო, მომართეთ სამღერად გრძნობა და გული!

აანო მენილი

სკოლა



პირველი...
მეორე...
მესამე...

აი, რამდენი სართულიანია ეს ახალი შენობა, წითელი კასკასა კედლებით რომ ჩამდგარა ხარფუხის პატარა და დაფულ-რულ სახლებში.

ბევრი ოთახებია...

ისეთი ნათელი ოთახებია, რომ სწავ-ლა უადრესად ხელმისაწვდომი იქნება. აღიხარ სულ ზედა სართულში, თავი ისევ ძირს გგონია, მაგრამ მალლიდან რომ ამაყად დასცქერი ტავი ზადესა და მისას-ნიკოვის ქუჩებს შორის საკმაოდ მოზრ-დილ ბაღს, მრავალი კვლითა და ლამაზი მცენარეებით მორთულს, თითქოს თვალ-წინ ათასნაირად მოქარგული ხალიჩაა გაშ-ლილი, და გული სიამით იესება.

საკუთარი ოთახებია გამოყოფილი: ფიზიკის, ბუნებისმეტყველებისა და ქი-მიის საგნების თვალსაჩინოდ დასამუშა-ვებლად. ეს ოთახები სავსეა ურიცხვი ხელსაწყოებით...

ერთი ოთახი სკოლის ბიბლიოთეკას ეკუთვნის...

ერთი კიდევ პიონერებს. ამ ოთახში პიონერებს დიდი შემოქმედებითი მუ-შაობის გაშლა შეუძლიათ.

2

პირველ სართულში მოსამზადებელი კლასები გაუმართავთ...

ოთახები მოწყობილია.

შიგ პატარა თეთრი მაგიდებია მოწყ-ნილი, ირგვლივ ასევე პატარა სკამები

აქვს შემოდგმული. აქ დასხდებიან ის პატარა ბავშვები, რომლებსაც ჯერ სკო-ლა არ უნახავთ...

ასე ლამაზად და მოხდენილად არის მათთვის მოწყობილი ყოველი ოთახი.

ტფილისს წელს შეიდი ახალი სკო-ლა მიემატა. ყველა ასე ლამაზი მორ-თული და მოკაზმულია.

ბავშვები აღფრთოვანებული არიან. ყველას ამ ახალ შენობაში უნდა მოხვე-დრა. ისინი დიდი სიყვარულით ათვა-ლიერებენ ახალი სკოლის ყოველ კუნ-ქულს, კრიალა კედლებს, მათ პატარა სახეებს სარკესავით რომ აჩვენებს.

უფროსი კლასის მოწაფეები ჯგუფად დგანან, საუბრობენ ამ ახალ კლასზე.

— სირცხვილია ამისთანა კრიალა კე-დლის დაჯღაბნა, ეს სკოლის შეურაც-ყოფა იქნება, — თქვა ერთმა.

— ამ საქმეს, ძმაო, უფროსი მოწა-ფეები უნდა ჩავუდგეთ სათავეში, — უპა-სუხა მეორემ.

— ნამძვილია, — გაიმეორეს დანარჩე-ნებმა.

...

ამ შვიდ ახალ სკოლას ყოველგვარი პირობა აქვს, რომ სანიმუშო გახდეს. მოწყობილობა სანიმუშოა. ჯერი მას-წავლებლებზეა, — სწავლაც სანიმუშო და მისაბაძი უნდა გახადონ.

სოფლიდან ქალაქისაკენ

ყურძენი დამწიფებულა,
დათაფლებულა მტევნები;
მე კი მე, ჩვენებს კრეფაში
წელს ვეღარ ავედევნები.
ხვალ თუ ზეგ, დილა-ადრიან,
დამაშორებენ სოფელსა;
გულდაწყვეტილი გავყვები
ქალაქისაკენ მშობლებსა.
„შვილო, გიყვარდეს წიგნები,
სკოლა გერჩიენოს ყველასა;
ისწავლე, იქაც მოგაწვდი
ყურძენს და ჩირ-ჩურჩხელასა.
ასე მაცილებს დედიკო,
კოცნით მიმშრალებს თვალებსა;

ფიქრი კი თავს დასტრიალებს
სოფლის ზურგსა და ქალებსა.


* * *

ყურძენი დაქარვებულა,
დაშაქრებულა მტევნები;
მე კი, მე, ჩვენებს კრეფაში
წელს ვეღარ ავედევნები.
ვაზს ვეღარ ავკრი აკიდოს,
ვეღარ ავკინძავ ჯაგანსა;
მივალ და ვემშვიდობები
ჩემი ოცნების საგანსა.
ვემშვიდობებები, ვშორდები,
ფიქრიც შორს იწყებს ქროლასა;
ქალაქში შესვლას ვესწრაფი,
ვესწრაფი უფრო სკოლასა.

გიორგი ქუჩიშვილი

ფისო და თავუნა

შაბათ საღამოს დედამ კნოში წამოყვანა,
ძალიან გვიან დაებრუნდით. მეორე დილას ცო-
ტა მოგვიანებით გამომეღვიძა. მზე უკვე ჩემს
ფანჯარაში იყურებოდა. ფანჯარაზე ფისო იწვა



და მზეზე თებოდა. თვალები დახუჭული ჰქონ-
და, გვეგონებოდათ ძინავსო. ოთახის კუთხეში
იატაკის ნახევრეტიდან პაწია თავგმა თავი ამო-
ჰყო და ტუჩების ცმაკურით პაერს ყნოსვა და-

უწყა. უცებ ისევ იატაკს ქვეშ ჩაძვრა. აღბოთ,
ფისოს თვალი მოჰკრა. ფისო სულაც არ განძ-
რეულა, თითქოს არც კი დაუნახავს. გავიდა
ცოტა ხანი და თავგმა ხელახლა ამოჰყო თავი.
კარგა ხანს უტკირა კატას, მაგრამ, რაკი კატა
ადგილიდან არ იძროდა, გაბედა და ზემოთ ამოძვრა
და მაგიდის ქვეშ პურის ნამცეცებს სუსნა დაუ-
წყო. უცებ, ფისუნია ისკუბა და საწყალი თავუნა
კლანკებში იგდო. ცოტა ხნის შემდეგ თავგი
თათებიდან გაუძვრა. თავგმა რომ თავისუფლება
იგრძნო, გაუხარდა და სოროსაკენ გაჰკურცხლა.
ფისომ ისკუბა და ხელახლა კლანკებში იგდო,
შემდეგ აქეთ გადმოაგდო, მაგრამ თავგი გაქე-
ვას ვეღარ ბედავდა, ერთ ალაგას უძრავად იდო..
ფისუნია მივიარდა და თამაში დაუწყა, ხან იქით
გადააგდებდა ხან აქეთ, ხან ზევით, ბოლოს, თამა-
შით რომ გული იჯერა, საცოდავი თავგმა გემ-
რიელად შეახარა მუნა.



მურა ფისოს ძალიან ემტერებოდა, სადაც კი შეხედებოდა, პირდაპირნილი ვასაგლეჯად მავარდებოდა. მაგრამ ფისო მის ბასრ კბილებს მუდამ მოხერხებით თავს აღწევდა: ხან ხეზე ავარდებოდა, ხან საბძელში, ხან სახლში, ხან სად და ხან სად. ერთხელ ფისოს მურა ტრიალ ალაგას შეეფეთა, არსად ხე მახლობლად, არც სახლი, არც საბძელი... რა ქნას ფისომ? გაიქცეს — ვერ გაასწრებს... მოფიქრების დროც აღარ არის, საცაა მურამ თავისი ბასრი კბილები გვერდებში უნდა გაუყაროს... უცებ ისკუბა, მურას ზურგზე შეაბტა და თავისი კლანკები მაგრა ჩაუყარა. მურა გადაირია, გაცოფდა, იქით ეცა, აქით ეცა, ხან ზევით შეხტა... უნდა ფისო ძირს ჩამოავდოს, მაგრამ ჩენი მხედარი მაგრა აჯდა ზურგზე და ვერა გზით ვერ მოიშორა. არაქათ გამოლოცული მურა ძირს დაეცა. ფისუ-

ნიამ იდროვა, შურდულივით შინისკენ ცხლა და თავს უშეველა.



ქათა და ბულბული

მაისის მშვენიერი საღამო იყო. გიგლას სახლთან, ბაღაში, იასამნის ტოტზე ბულბული



იჯდა და საიმურად უსტვენდა. გიგლა ფანჯრიდან გადაჰყურებდა და ბულბულის მომზიბლავი სტვენა-რაკრაკით ტკებოდა. ამ დროს ბორბტი ფისუნია პაწია მგალობელს ეპარებოდა. ბულბული გატაცებით უსტვენდა და არაკრაკებდა და მტრის მოაზლოებას სრულიად ვერ ამჩნევდა. ფისუნია დედამიწას ეკვრის, მუცლით ფრთხილად მიხობავს და თანდათან ბულბულს უახლოვდება. იმ მიუახლოვდა კიდევ... ბრკყალეები გაშალა, ზურგი აიზნიქა, თვალის დაბამხამების უმაღ ვლეგასვით სწრაფად ისკუბა და... უცებ შეწყდა დაუთავებელი საუცხოო ჰანგი.

ინასონ ნიკოლაიშვილი



სექტემბრის თვის მიწურულში,
 როცა სიმინდს ტეხენ,
 როცა შრომის ფერხული აქვთ
 გამართული გლეხებს,
 როცა მთაში მღვარი თელხი
 მოეხვევა ვერხვებს,
 როცა ქარი აფრიალებს
 ნისლის ზეწარს ხევ-ხევ,
 როცა ცაში მწიფობელა
 დასრიალებს მკვირცხლად
 და ვენახში შეთვალდება
 კრახუნა და ციციქა,
 ამ დროს, ღამით, ღელის პირებს
 ცივი-ცვარი აწვიმს;

გათენდება, გაიღვიძებს
 შეათვალდება ანწლი.
 კატაბარდას ბარდებიდან
 სიო იწყებს შრიალს,
 მომცრო ჩიტი ესტუმრება
 ანწლის მარცვალს, ცვრიანს.
 ორი თვეა, ნარში იყო,
 იძინებდა ნარზე,
 ახლა ანწლის სტუმარია
 შავ-შავ მარცვლებს დამხერს.
 კენკაუს, კენკაუს ცვარ-ნამიანს
 და მიფრინაუს გვიან,
 ის ნაცარა ფრთოსანია
 და ყარანა ჰქვია.

მ. კალანდიაძე

ს მ ფ ლ უ რ ი

რა კარგია შემოდგომა,
 ქარის ნელი სრიალი,
 სიმინდების კალოები
 ხმელი ჩაღის შრიალი.

ტაროების რბილ ფუჩქში
 მასპინძლობა კვახებით,
 მაქარი და ცხელი მქადი
 პარმალიან სახლებში.

მხიარული განთიადის
 სილაყვარდე თვლებში,
 „შარალო“ და „რაშორერო“,
 კოლექტივის ყანებში.

კარზე ყურშა ჩამოჯდება,
 სუფრის ქვევით კატები,
 მატლების და ბებიების
 აღფრსით რომ დავტკებებით.

ნაპირების გაჩაღვა და
 შეღამება ზვინებთან,
 ნამგალივით მთვარის შუქი
 დამსხვრეული მინებად.

რა კარგია შემოდგომა,
 ქარის ნელი თარეში,
 კალოებზე ჩაძინება
 მოსადაფულ ღამეში.

შუკებში და შარაგზებზე
 დატვირთული ურმებით, —
 როცა შრომით დათენთილი
 კოლექტივში ვბრუნდებით.





შავაშა-ფაშაშვილი

„საბავშვო მოქმედების რგოლი“

საბავშვო ლიტერატურა

შავა-საბავშვო

წიგნი მისი სახელისა და საბავშვო ლიტერატურის



„შელის ნუკრის ნამბობი“. ვის არ წაუკითხავს ეს ლამაზად დაწერილი მოთხრობა და განა ისე დაუშთავრებია, რომ თავლები ცრემლებს არ დაესველებინოს? ხომ პატარაა იგი, სულ რამდენიმე გვერდი, მაგრამ ვერასოდეს ვერ ივიწყებთ აკრძალულ უმწერო ცხოველს.

ავტორი ისე დამაჯერებლად მოგითხრობთ შელის ნუკრის თავგადასავლს, რომ, როცა კითხულობთ გგონიათ ნუკრმა მართლა ენა ამოიღვა და აქანკალბეულის ხმით თავის გაწამებულ ყოფას გიამბობთ... და თქვენც უსმენთ, უსმენთ სულგანაბრული.

იგივეთა მოთხრობა, რომელსაც ისე ავითროლებინოს პატარა მკითხველების გულები, როგორც „შელის ნუკრის ნამბობი“ ათრთოლებს მათ. მისი ავტორი ბავშვების საყვარელი მწერალი ვაჟა-ფშაველა. ვაჟას ნორჩი მკითხველები მარტო ამ მოთხრობით როდი იცნობენ. ბევრმა ზეპირადაც კი იცის მისი „არწივი“. დაკოდელი არწივი, რომელიც

„ყვავე-ყორნებს ვომეობდა, ეწადა ბეჩავს ადგომა. მაგრამ ველარა დეგობდა“, — სიბრაღულით აესებს ბავშვის მგრძობიარე გულს.

ვაჟა შეუდარებელია ბუნების აღწერაში, მას უყვარს ბუნება, ნაზი, მგრძობიარე სიყვარულით. ისიც კარგად იცის, რომ ბუნება, ზოგჯერ სიკეთეს იხევეს, ზოგჯერ მქნელია ავისა, მაგრამ „მინც კი ლამაზი არის, მინც სიტურუთი ჰყავისა!“.

რალც ნათესაური, მშობლიური რამ კავშირი აერთებს მას ბუნებასთან, ტყუილად კი არ ეუბნება მათებს, ბაღაბებს, ყვავილებს:

„თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ ღალიან-ბარაქანი“.. ან კიდევ

„...მეც მიგემებავ მე იგი რძე, რითაც თქვენ დაიზარდენით“...

ვაჟას ყველა ნაწარმოებიდან უბრალოებასა და სისადავეში ჩაქსოვილ ბუნების მოვლენათა ღრმა განცდას ამოიკითხავთ და ეს აძლევს მის ლექსს, თუ მოთხრობას მალალ მხატვრულ ღირსებას.

აი თუნდ მისი ლექსი „უნუგუგო ყოფნა“ ავიღოთ. ბნელ ზევში ამოსული ია დიდ ქადარს დაუფარავს, ყვავილს შვის სხივები, ველარ სწევებიან და ქნება, ხმება იგი და ესწმამინ, როდესაც „სხვა ყვავილითა გუნდი სამოთხეს ეღარებოდა“.

ხომ არაფერია აქ უჩვეულო, უბრალო ამბავია სრულიად, მაგრამ ვაჟა მთელი არსებით განიცდის მომავლად იას მდგომარეობას, სულიერ

ტკივილს იწვევს მასში ის, რომ „სტეფი ლხლხ ნობენ, მას (იას) მიწა ეფარებოდა“. ზმელი წაფეკის ლის ბედიც ასევე აღელვებს მას.

„მთის წყარო“ „კლდე და მდინარე“ „ფესები“ „ქუჩი“ „ჩიკეთა ქორწილი“ „მელი წიფელი“, „ია“ და სხვა საბავშვო ლექსები და მოთხრობები ვაჟასთვის ჩვეული ნაზი საყვარულითა დაწერილი და ეს სინაზე, ეს სითბო ვადიდის მკითხველზედაც. პატარა მკითხველები ყოველთვის სიამოვნებით წიკითხავენ მათ.

ვაჟამ სრულიად ახალი თემა შეიკრანა ქართულს პოეზიაში, მთის პოეზია მანამდე უცნობი ან თითქმის უცნობი იყო ქართულ მხატვრულ ლიტერატურისათვის.

მისი დიდი დამსხტურება ისიც, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ხალხური ლექსი, თქმულება თუ ზღაპარი შეკრბია მთაში და თავისებურად გადაამუშავა ისინი.

წელს ვაჟას გარდაცვალებიდან 20 წელი შესრულდა, ამ წლის აღსანიშნავად ეწყობა ვაჟას გამოფენა, შეკრბილია ახალი მასალები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობიდან.



ვაჟა-ფშაველა

ნორჩი მკითხველებიც აღნიშნავენ ძია ვაჟას გარდაცვალების 20 წლის თავს, ისინი წიკითხავენ და შეისწავლიან ვაჟას საბავშვო ნაწარმოებთ, მოემზადებიან მისი შემოკმედების საფუძველიანად შესწავლისათვის.

აი რით შეუძლიანთ გამობატონ მათ სიყვარული და პატრვისცემა საყვარელ მწერლისადმი.

ბაბო ხახიაშვილი

პატარა ბუჩუკოს სიმღერა



(საპარაშუბო კოშკამ)

ოდეს მაღალ კოშკზე ცაში
პარაშუტს ქვეშ ვდგაფარ, მაშინ—
მე ვიმღერი და გულს ვახვევ
სიამაყის მაღალ ხმაში.
აჰა უკვე თოკზე ადის
პარაშუტის ღიდი ვარდი,
მე ვიკეთებ ღვედებს მხრებზე
ოქტომბრულად მკვირცხლ სიმარდით.
ქვევით ირგვლივ მარად მწვანით
შემოსილა ხეივანი,
რა მაღლაა, ო, რა მაღლა

ჩენი კოშკის აივანი!
რაა შიში, გასაქირი,
ოქტომბრელი მქვია, გმირი,
არა, არა, მე ზოგიერთ
მხლალ ბავშვივით არა ვტირი!
სიმაღლიდან გადმოვცქერი
სულ უშიშრად, ჰერი, ჰერი,
ოდეს ვხტები, მიმზერს ყველა,
მე გმირი ვარ, ბედნიერი!

ნიქოლოზ ფსაქაძე

სიმაღლეების დამკვირვებელი

უახლოეს დროში ოცნებობდენ, რომ დეპეროთ სიმაღლეები ჰაერში, გადამოხტარიყვნენ მიწაზე და არ დამტვრეულიყვენ. ასეულმა წლებმა გაიარა მას შემდეგ, რაც პარაშუტი გამოიგონეს, მაგრამ ამ შესანიშნავი გამოგონების გამოყენება შეუძლებელი ხდებოდა. საიდან უნდა გადმოფრენილიყო ადამიანი პარაშუტით? ყველა მაღალი კოშკი მაშინ არ იყო იმ სიმაღლის, რომ იქიდან პარაშუტით გადმოხტომა მოხერხებულყო, კოშკის სიდაბლის გამო პარაშუტი გახსნას და ჰაერით აესებას ვერ მოასწრებდა. მხოლოდ მას შემდეგ განვითარდა და პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა პარაშუტმა, რაც წინ წავიდა ავიაციის საქმე.

1921 წელს ამერიკის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც საეაღდებულო იყო ყოველ ჰაერობლანზე პარაშუტის ქონება. მფრინავები ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ ამით, რადგან პარაშუტი მათ ზედმეტ ბარჯალ მიაჩნდათ. მაგრამ პირველმა შემთხვევაზე გაუთქვა სახელი პარაშუტს, როდესაც მფრინავები პარაშუტის საშუალებით აუტდენელ კატასტროფას და სიკვდილს გადაარჩინ.

1929 წელს ამერიკაში 25000 გადმოხტენ პარაშუტიდან სპორტსმენები და სხვა მოხალისე-

ები. ამერიკის შემდეგ საპარაშუტო საქმე დაინერგა და ვანეთარდა ევროპის ქვეყნებშიც. საბჭოთა კავშირში საპარაშუტო სპორტის პირველი პიონერი არის მფრინავი ანზ. შინოვი. 1929 წ. იგი გაგზავნილ იქნა საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში საპარაშუტო საქმის შესასწავლად და ჩენში გამოსაცენებლად ზელსაყრელი ტიპის პარაშუტის შესარჩევად. იქ ანზ. შინოვმა მოახდინა თავისი პირველი სამი გადმოხტომა შეჯიბრების დროს და მესამე ადგილი დაიკავა მიუხედავად იმისა, რომ მის კონკურენტებს ჰქონდათ ათეულობით გადმოხტომის სტატი.


ანზ. შინოვმა აიჩნია ირვინის, თავისუფალი მოქმედების სისტემის პარაშუტი, რომელიც იხსნება პარაშუტისტი სურვილის მიხედვით. ჩამოვიდა რა საბჭოთა კავშირში ანზ. შინოვი, მან თავის თანაშემწე მაშკოვსკისთან ერთად მოახდინა მთელი რიგი გადმოხტომები, რითაც ერთი მხრივ ნერგავდა საპარაშუტო საქმეს და მეორე მხრივ ამუშავებდა რთული გადმოხტომის ხერხებს. 1931 წ. ჩენში უკვე შეიქმნენ საპარაშუტო საქმის ინსტრუქტორების პირველი კადრები, რომლებიც იწყებენ სისტემატორ მასობრივ მუშაობას, ეწყვიან საპარაშუტო საქმის პროპაგანდას და ზრდიან ახალგაზრდობას სპორტის ამ საუკეთესო დარგისათვის — პარაშუტისათვის.

შბოლოდ ხუთი წელია, რაც საპარაშუტო სპორტი საბჭოთა კავშირში არსებობს. ამ ხნის განმავლობაში უდიდესი მიღწევები გვაქვს და თუ 1929 წელს, ცნობილი ამერიკელი პარაშუტისტი სერენტ ნიკოლე მოწყალების ტონით მიმართავდა ამხ. მინოვს: „ისწავლეთ, უმაწვილო, ხტომა ჩვენგან, ამერიკელებისგანო,“ — სამაგიეროდ ახლა ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ ამერიკელებს და სხვებსაც: „ისწავლეთ ხტომა ჩვენგან, საბჭოთა პარაშუტისტებისაგან!“

საზღვარგარეთ, კავიტალისტურ ქვეყნებში, საპარაშუტო საქმე არის რეკლამის, სენსაციის და ცარიელი დიდების სპორტი, ჩვენში კი საპარაშუტო საქმეს დაეუფლენ პროლეტარულ და კოლმეურნე ახალგაზრდობის ფართო მასები, რომელნიც მზად არიან პარტიისა და ზელისუფლების პირველ მოწოდებისთანავე დადგენ სოციალის-

ტური საშობალოს დაკვის სადარაჯოზე. საპარაშუტო სპორტი ახალგაზრდობაში ქელავს საუკეთესო თვისებებს, საჭიროს როგორც თავდაცვისათვის, ისე შვეიღობიანი სოცმენველთბისათვის — სივაეკაცეს, მზნეობას, სიმამაცეს და პაერში რთული მღვამარეობის დროს სწორი ორიენტაციის აღბის უნარს. ამ ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა პარაშუტისტებმა დაამყარეს მსოფლიო რეკორდები სიმაღლეებიდან გაღმობტომის საქმეში.

ამ უკანასკნელ ხანებში გაღმობტომის რეკორდებს ამყარებდენ არა მარტო ერთეულები, არამედ მთელი ჯგუფები პარაშუტისტებისა. საპარაშუტო საქმეში მსოფლიო პირველობას იკავენს საბჭოთა ახალგაზრდობა, როგორც ყველაზე მოწინავე ბედნიერი თაობა ძლევაშოსილი სოციალისტური საშობალოსი. 6. 0 -- 40.



ზღვის პირას გამოსულიყო საღამოს მთელი ქალაქი. (სად იქნებოდა წარმტაცი სხვა უკეთესი ალაგი). ზღვაში კი გედი ცურავდა ვით იალქანი სწრაფია, მთაინთქებოდა სიღრმეში, ქრებოდა როგორც ქაფია. თავს ამოჰყოფდა საღლაც შორს, ტალღებს უსწრებდა სვლაშია, ისმოდა მაყურებლების ქება, ვაშა და ტაშია. ამას ხედავდა მამალი და იესებოდა შურითა, ადამიანებს ლანძღავდა და აშავებდა მურითა. ბრაზობდა:—ყველას გრცხვენოდეთ, არ გესმით არაფერია! რა ლამაზი ვარ, შემხედეთ, მამკობს მრავალი ფერია!

ვარს მახვევია ქათმები, როგორც ვარსკვლავნი მთვარესა, ჩემი „ყიულოყოს“ ძახილი აღვიძებს არემარესა. თავს მიმკობს ოქროს გვირგვინი, ფეხებს მიშვეენებს დეზები, დარდიმანდული გავლა მაქვს და ვიცი ცურვის წესები. აბა მიყურეთ და ნახავთ, რომ შერცხვეს თქვენი გედია! — და ზღვაში გადაფართხალდა ჩვენი მამალი ყბედია. აფრენა მოიწადინა, საწყლად დაიწყო ფართხალი. —ყიულოყო... მომშველეთო! — იძახდა იგი დაფრთხალი. ვერ შეძლო ცურვა, ვერც ფრენა, და ჩაიძირა ზღვაშია. მაყურებლებმა იცინეს, გედი გაფრინდა ცაშია.

0. 60630ლო



გიას და ნანას გაგიყვებით უყვარდათ თომა ბაბუა. სანამ ზაფხული მოაღწევდა და სოფელში წასასვლელად მოემზადებოდნენ სულ მის ნატვრაში იყვნენ.

კარგი მოხუცი იყო თომა ბაბუა. გრძელი თეთრი წვერები ჰქონდა, ისეთი თეთრი, როგორც ბამბა. ნანას განსაკუთრებით უყვარდა ბაბუას წვერების ვარცხნა, ხან აუჩქრდა, თმებსაც აუბურძენიდა და მაშინ ბაბუა თავლის კაცს ჰგავდა, გაიამ რომ გააკეთა ზამთარში.

უამრავი ზღაპრები და ლექსები იცოდა თომამ. დიჯენდა შვილიშვილებს მუხლებზე და უამბობდა ცისა და ბარის ამბებს.

აბლაც ორი დღის ჩამოსვლები იყვნენ ნანა და გია სოფლად. საჩუქრები ჩამოუტანეს საყვარელ მოხუცს, ნანამ თამბაქოს ჩასაყრელი ჭისა, ლამაზად ამოქარგული და გაიამ კი „არსენას ლექსი.“ ბაბუა თითონ კარგად ვეღარ ხედავდა და გია უკითხავდა მას საყვარელ ლექსებს.

— ბაბუ, ჩემო ბაბუ, გვიამბე რამე, — ეხვეწებოდნენ საღამოს ვახშმის შემდეგ ბავშვები მოხოს.

— ნუ შეაწუხებთ ბაბუას, თორემ უკანვე გაგზავნით, — გაუჯავრდა დედა შვილებს.

— არა, დედიკო, ერთ პატარა ამბავს ვთხოვთ მეტი არაფერი გვინდა, ისე არც დავუქმინება.

— წამოდით შვილებო, მუხის ძირში დაე-

სბდეთ და იქ მოვიგონებ რა გვიამბოთ, წამოდგა ბაბუა, გაიამ ჯოხი მიაწოდა.

ვარსკვლავებით მოჭედლილი ცა ციმციმებდა, აღმოსავლეთის კიდურზე გობის ოდენა მთვარე ამოდიოდა და ერთი მხარე უკვე განათებული იყო მისი შუქით. თომა ბაბუასავით იდგა ეზოში კორძებიანი მუხა და გაშლილი ტოტები ეზოს ნახევრისათვის გადაეხურა.

— გვიამბოთ ნამდვილი ამბავს, რომელიც მე თითონ შემემთხვა ჩემს ბავშვობაში, — მიმართა ბაბუა მინოდან ამოჩრილ მუხის ფესვებზე ჩამომჯდარ ბავშვებს.



— ერთხელ, მაშინ 14 წლის ვიქნობი, დლით ცხვარი გავრეე „ზემო ეზოს“ რომ ვეძახით იმ ადგილში. მშვენიერი ბაღი იყო და თან შემოღობილი, წყაროც იქვე ჩამოდიოდა პატარა ღარზე. ცხვარი ჩავრეე და მე უკანვე გამოვბუნდი, ეზოში სიმინდი მქონდა გასამარგლი. ისეთი სიძველე იყო, რომ სუნთქვა გვიკირდა. შინც კარგახანი ვიშუშავე, მეოთხედი ყანა გავთოხნე საღირობამდის.

ნასადილევს ცა ჩამოხნეოდა, ყოველი მხრიდან მოიჩქაროდა შავი ღრუბლები და მზეს აბნელებდა. ერთი საშინლად დაიგრგვინა და დაუშვა კოკისპირული წვიმა, ძლიერს შევსწარი სახლის ჩამოსურულში და თომა იქვე მივაყუდე. დედაჩემი აწრიაოდა, ვაი თუ ნიაღვარი მოვარდეს, „ზემო ეზო“ კლდის ძირშია და ცხვარი დამიღრჩოსო. რაღაც ბუდათ წვიმა მწელნელა იკლო, ჩამავალმა მშემ ღრუბლების გროვა სხივებით გაარღვია და ნაწვიმარ მიწას დახვდა. დედამ ცხვრის ტყავი გამომიტანა, ის მოვიცი და მოუსვი ტყისაკენ.

კოტა მეშინოდა კიდევ, ვაი თუ ქაჯი ან ალი გამოიხტეს-მეთქი, — აქ ბაბუა მჭერდა, ჩიბუხი დაფრთხა, ჯიბიდან ნანას ნაიქუქარი ქისა ამოიღო, გახსნა, თუთუნის ჩიბუხში ჩაყარა კვესაბედი ვაჭარა და ცეცხლოვდებულნი აბედი ჩიბუხში ჩაღო.

ნანა და გია მოხუცის ნელ მოძრაობას მოუთმენლად აღევნებდნენ თვალყურს, ქაჯის ამბავმა დააინტერესა ისინი.

— მერე ბაბუ, მერე? — შეეკითხვნ ბავშვები.

— ჰო, და გამეგონა ამ ადგილებში ქაჯი იცი-სო და უნდა გამოგიტყდეთ მეშინოდა კიდევ მათი. ზემო ეზოში თვალის დახამამებმაში ავირბინე, ისეთი ღამეა სანახავი იყო ცხვრის ფარა ახალ ნაწვიმარზე, რომ თვალი ვეღარ მოვაშორე. იმათ ხშირ ხუჭუქ ბეწვში წვიმის წვეთები აღმასვლივით ბრწყინავდა. ხასხასა მწვანე ბაღი კიდევ უფრო გამწვანებულყო, ტყის სიღრმე კი ისე შავად მოსჩანდა, რომ უნებურად შემატყუოდა, წარმოვიდგინე ქაჯი, დაბრკენილი წვეტიანი კბილებით, ცეცხლისმფრქვევ თვალეზით და, რაც ყველაზე უფრო მაშინებდა მოკლედ, ღონიერი და ბანჯგვლიანი ხელებით. ჩვენში ხნიერი მამაკაცები ამტკაცებდნენ, რომ ქაჯს იდაყვი პირდაპირ მხართან აქვს შეერთებული

და თითები ბასრი ბრკალებით ბოლოვდებოდა. ვიდექ და შიშისაგან გათანგული შევცქეროდი ტყეს: ან ავერ გამოხტება ქაჯი და დამტყავს და ან ავერთქო. ტყე კი შრიალებდა და დაიძვინავდა ცაშიშარს ჩამსწორებულბა. ყველაფერი ტყუილია, ქაჯს ჩემთან რა უნდა-მეთქი, გავიშავრე გული და ყოჩაღად წავედი ცხვრისაკენ. ამ დროს ერთმა ყოჩმა დაიბეტელა, გული შემიქანდა, შიშით მოვავლე თვალი იქაურობას, არაფერი საეჭვო არა სჩანდა. იქვე ხის კუნძზე ჩამოვჯექ, ტყისკენ ზურგმეტკევი. ვიჯექ და გუჯურებდი ჩამავალ მზეს, სხივებს სითბო თანდათან აკლდებოდა, დამდებოდა და მე ტყისკენ მოხედვას ვეღარ ვებედავდი...

უცებ ბაღის შრიალი შემოემსმა და იმავ წამს ზურგში რაღაც დამეტყა, „ქაჯი,“ — გავივლე გულში და თმა ამებურძენა, ხელები გამოცივდა და თვალები დაეხუტე. ქაჯმა წვეტიანი და ბასრი თითები გვერდებში გამოყარა, — ბავშვებს სუნთქვა შეეკრაო.

— აშკარად ვგრძენ მისი ეკლებივით თმების შეხება და დაბრკენილი კბილები ყელზე, მაგრამ იცი თუ საშინელ წუთებში რა ვიფიქრე ჩემო ძვირფასებო? ერთი თვალვებს გავივლებ და დაეინახე ეს ქაჯი რა არის ასეთი მეთქი. თვალები გავახილე და...რა ქაჯი, რის ქაჯი, ჩემი ქაჯის მავიერ ტურა ფაცხა-ფუცხით გარბოდა ტყისაკენ.

— ხა, ხა, ხა! ბაბუ ეგ რა დამართოა, ვადაიკისკისეს გამ და ნანამ, — შენ და ტურას ერთმანეთი შევიშინებიათ, მაგრამ შენთან რა უნდოდა ტურას? — იკითხეს ბოლოს განცვიფრებულმა ბავშვებმა.

— რა უნდოდა შეილებო და ის, რომ მე ცხვრის ტყავი მეცა და უძრავად ვიჯექ ქაჯის მოლოდინში. ტურას კი ცხვრის ყელის გამოკრა უყვარს, ზოგჯერ მთელ ფარას დაერევა და ყელგამოკრილს დატრეფებს, ასეთი ჩვეულება აქვს იმ შეჩვენებულს. როგორც ჩანს მეც ცხვარი ყველანე და მომეპარა ჩუმაღ და მეტყა, მაგრამ ორფეხი „ცხვარი“ შევრჩიხელები და გულგახეფქილმა ისევ ტყეს შეაფარა თავი.

იმ დღის შემდეგ მე აღარ მწამს არც ქაჯი და არც ალი, სიტყუა და ყველაფერი ეგ შენთხ ზულია მშინშარა ადამიანის მიერ. აი, ჩვენი

მეზობელი კაკოს, როგორ ეშინია. ღამე ეხოში
ვერ გამოდის, ხეც კი რაღაც უცნაურად ელან-
დება.


— მე არაფრის არ მეშინია ბაბუ, — ამაყად
წარმოსთქვა ვიამ, — შარშან პიონერთა ბანაკში,
რომ ვიყავი, წყარო ჩვენგან მოშორებით იყო
და დამღამობით ხშირად მარტოკას მომქონდა
ხოლომე წყალი.

— ბავშვებო, დაძინების დროა, — მოიხმ
დღედის ძახილი.

— წადით, დაძინეთ, ამ ჩიბუხს შრევე და
მეც მალე მოვალ, — გაგზავნა თომა. ბაბუამ და-
საძინებლად ბავშვები.

ეს ისევე ციმიკივებდა, ფოთლები შრიალებდა
და გიას და ნანას ოთახიდან კიდევ კარგახანს
მოისმრდა სიცილ-კისკისი თომა ბაბუას ნაამ-
ბობზე.

თამარ ოჯახშია



ბურთის პრეფა

დახტის ბურთი ფართიფურთით
აღმა-დაღმა, აღმა-დაღმა!
უფლის მურაც—ბურთის ქურდი —
ხან უკუღმა და ხან აღმა.

უნდა პირი ბურთს წაავლოს
და ლოგინქვეშ გადაძლოს.
ზის ფისუნა შორიანლოს,

ფიქრობს: „მოდი, თათი ვახლო;
უნდა იყოს ეს გორგალი“,
დაუწყურა ექვით თვალი.

აქ ინდოურს მოსდის გული,
დგას გაბლინძულ-გაფუყული,
ყვირის: „მომაშორეთ! ბურთი!
ძმულს მაგისი ფართიფურთი!“

დახტის ბურთი ფართიფურთით,
იქ გადახტა, აქ გადამოხტა,
აგერ მურას თავში მოხვდა,
ფისომ თვალი დააცეცა,
ბურთი ცხვირში მასაც ეცა,
ინდოურსაც მკერდში თქეშა,
შეაშინა, გააშეშა,

დაერია კრუხ-წიწილას,
ყველას ზურგი დაუზილა;
გარბის ბატი და მამალი,
რომ მოძებნონ დასამალი.

მხოლოდ წვერკანცარა თხა
არ შეშინდა, არ დაფრთხა,
ბურთს დაუხვდა, შუბლი ხეთქა
და შუაზე—„ბუჰ!“—გახეთქა.

ილია სიხარულით

დადგა უხვი შემოდგომა,
ჩამომწიფდა ბალში ხილი,
ნაყოფისგან შეხუნძლული
დგას ხეხილი თავდახრილი.
ყურძენიც ხომ ვენახებში
დატება ისე, ვით შაქარი,
და ქარვისფერ მწიფე მტევნებს
ნახად არხვეს გრილი ქარი.
ველოდი და ჩემი ნატვრა,
როგორც იქნა, ამისრულდა:
დღეს დავიწყეთ ყურძნის კრეფა
რაც დიდი ხნით ასე მსურდა.
დღეს დილიდან ვენახებში
მუშაობენ კაცი, ქალი,
ვკრეფთ ყურძენს და სიამეს გვეგრის—
რომ გვაქვს უხვი მოსავალი.
განუხაზღვრელ სიხარულით
შრომობს ჩვენი კოლექტივი,
მეც კრეფაში შემეჯიბრა
ოქტომბრელი ჩვენი გივი.
ვკრეფ მტევნებს და თანაც ვკოცნი
რომ არ მითმენს ისე გული,
ყურძნის წვევით მაქვს თითები
ერთმანეთზე შეფისული.
აგერ, ცუგა, ჩემი ცუგა,
არ მშორდება გვერდით ამ დროს
თითქოს ისიც გვეხმარება,
თითქოს ისიც საქმეს დარღობს!
ბაბუაც ზის ვაზის ძირში,
რომ ვერ შეძლო ფეხზე დგომა,
რა ქნას, მასაც უხარია,
რომ გვესტუმრა შემოდგომა!

ნ. შამლიძე

მელა და ბატები

(მხატვარი გოგოლაძე)



ერთ მინდორზე ხუთი ბატი გამო-
სულიყო და მეტი სიმსუქნისაგან ძლივ-
ძლივობით დაბაჯბაჯებდნენ. ამ დროს ამა-
ვე მინდორზე მელამ გაიარა, შეამჩნია
ბატები, გაეხარდა და ბატებს უთხრა:

— აჰა, ახლა ყველას შეგვკამთ!
ბატებმა თხოვნით მიმართეს:

— მოწყალეო მელავ, გულკეთილო
და მშვენიერო მელიავ! შეგვიბრალე და
ნუ შეგვკამ!

— არა, — უთხრა მელამ, — არ შეგიბ-
რალეობთ, ყველას შეგვკამთ.

რა ექნათ საწყალ ბატებს.

მაშინ ერთერთმა ბატმა მელიას მი-
მართა:

— მელავ, სიკვდილის წინ ერთი სიმ-
ღერა ვიცით და ის გვამღერე: რა წამს
სიმღერას მოვრჩებით, შეგვკამე ყველა,
არც გაგექცევით და არც გავინძრევი-
თო.

— მაშ კარგი, — დათანხმდა მელა, —
დაიწყეთ სიმღერა. დაიწყო სიმღერა პირ-
ველმა ბატმა. სიმღერა ასეთი იყო: ყი,
ყი, ყი, ყი, ყი...

მეორე ბატმაც მიაყოლა სიმღერა:
ყიი, ყი, ყი, ყი...


მესამე მეორეს მიჰყვა ხმაწვეული ყი,
ყი, ყი, ყი...

მეხუთემაც მიაყოლა იგივე: ყი, ყი,
ყი, ყი... და ყველამ ერთად შემოსძახეს
განუწყვეტელი „ყი, ყი, ყი, ყი“.

და აი როცა ბატები ყიყინს მორჩე-
ბიან, ეს ზღაპარიც მორჩება და მელაც
შეკვამს მათ, მაგრამ თურმე ბატები უფ-
რო კვიანები აღმოჩნდნენ და დღესაც
გაიძახიან „ყი, ყი, ყი, ყი“-ს.

მეხის გრიმების ზღაპარი.

თარგმანი: მ — 40ს.





როგორც მუდამ, ისე დღესაც
 ისმის ხმები სკოლის ირგვლივ...
 სხვა ხალისი ემატება
 კუწის ხტომას, კუწის სირბილს.
 ინახულა უბანი და
 სოფლის შარა, ხალხით სავსე,
 ტაშისცემით მიეგება
 ადრიანად მოსულ ბავშვებს...
 იცის კუწიმ ზემი აქვთ,
 მისთვის მორთვის სკოლა გუშინ...
 ფიქრობს ლექსი დღეს უნდა თქვას
 უხარია თანაც გულში.
 შემოუვლის სკოლის ეზოს,
 სათითაოდ სტუმრებს უცქერს.

სიო არხევს წითელ დროშებს
 და ქალაქის ფერად ფურცლებს.
 ბავშვები კი მღერა-გუგუნს
 უმატებენ ვაშას ძახილს.
 ქალაქიდან მოსულ შეფებს
 აღტაცებით ხვდება ხალხი:
 მიაშურეს სკოლის ღარბაზს...
 კუწის გული ფეთქავს ისევ,
 და ლექსის თქმის მოლოდინში
 ნაწვეტ-ნაწვეტ სიტყვებს ისმენს.
 როგორც მუდამ, ისე დღესაც
 ისმის ხმები სკოლის ირგვლივ...
 ლექსზე ფიქრი ემატება
 კუწის ხტომას, კუწის სირბილს.
 ხანდაჲლ შლენბი

„ქ კ უ ჯ“


(იგავი)

მებაღურმა ზღვაში ბადე ისროლა. ბა-
 დეს ერთი თევზი მოჰყვა. ამოიყვანა მება-
 ღურმა და უნდოდა ჩანთაში ჩაეგდო.
 თევზმა უთხრა:
 — ჩემი შექმნით რა გაგიკეთდება, ერთ
 იჯრაზე ძლივს გეყოფიო... გამიშვი და
 გაჭირვების დროს გიშველიო.
 მეთევზემ ჰკითხა:
 — შენ რა უნდა მიშველოო?
 თევზმა უთხრა:
 — როცა გაგიჭირდეს, აი ამ ადგილას
 მოდი, ღამიძახე, გამოვალ ზღვიდან და
 გიშველიო.

მებაღურმა სახელი ჰკითხა:
 თევზმა უთხრა: „ქკუა“ მქვიაო.
 მებაღურს ეს სახელი მოეწონა, ასწია
 და თევზი ზღვაში ჩააგდო.
 ხანი გავიდა. მებაღურს გასაჭირი მოა-
 დგა. გაახსენდა თევზი. მივიდა ზღვის პი-
 რად და დაიძახა:
 — „ქკუავ“, „ქკუავ“, — სად ხარო?
 გაიგონა თევზმა და ზღვის სიღრმიდან
 უპასუხა:
 — ქკუა თუ გქონდა, ხელში რომ გეჭი-
 რე, — არ გამიშვებდიო!

გ. ლომთათიძე





საკვირვალი ხე



(თავი წიგნიდან „კოლხიდა“)

ხუთი წლის მუხა ერთი მეტრის სიმაღლეა, ევკალიპტი კი ხუთმეტრის.

— გამხ!

— ჰო... რადგან ევკალიპტი სწრაფად იზრდება, მას ქაობიან ალაგას თესავენ. ევკალიპტს ბევრი წყალი უყვარს და ქაობს აშრობს. ევკალიპტი ციების მტერია. ხომ გავგონით იტალია, პალესტინა, პორტუგალია, ბრაზილია?

— გავიგონია.

— აი, იმ ქვეყნებში ევკალიპტები გაამრავლეს. ევკალიპტებმა ქაობის წყალი ამოწოვეს და ციება მოსპეს.

შალვა პირდაღებული უყურებდა ყორეს. ეტყობოდა, კამასთვისაც ახალი იყო ეს ამბავი.

— დააკვირდი ევკალიპტის ფოთლებს. ყველა ცერად დგას მზისაკენ. ამიტომ ევკალიპტი არ იჭერს მზის სხივებს, სხივები უხვად ეცემიან მიწაზე და აშრობენ მას. ევკალიპტს სიცოცხლე ძალზე უყვარს. ტანი რომ დაღუეხოს აღამიანმა ან ყინვამ დაღუზიანოს, ევკალიპტი ნეტერს ამოუშვებს და ახალ ტანს აიყრის.

— საკვირველი ხე ყოფილა.

— ევკალიპტს იმდენი შერქანი აქვს, რამდენიც არცერთ ხეს. კალიფორნიაში ხუთწლიანი ევკალიპტის ტყე ერთ ჰექტარზე 50 კუბომეტრ მერქანს იძლევა. — ეტყობ: და, ყორე ბიძია გაიტაცა ევკალიპტის ამბებმა. — მუხისა, ფიჭვისა, ნაძვისა დარცხილასი ასოცწლიანი ტყე ერთ ჰექტარზე სამას კუბომეტრ მერქანს იძლევა. ოცწლიანი ევკალიპტი კი ერთ ჰექტარზე 800 კუბომეტრს. ევკალიპტს შესანიშნავი თვისება აქვს: არ ლებება, ამიტომ მას ხანგრძლივ ნაგებობისათვის ხმარობენ.

ეტყობოდა, გიორგი ბიძისთვის ევკალიპტი მართოდენ ხე როდი იყო — არა. ევკალიპტი მისთვის მოულოდნელად გახვედებოდა ზღაპრული სარცება იყო!

— თქვენ, ალბათ, შენიშნეთ, რომ ამ თარგზე საამურო სუნი დგას. ეს ევკალიპტის სუნია. ევკალიპტის ფურცლებში ვიეროვანი ზეთია. ამ ზეთს სხვადასხვა ჯიშის ევკალიპტში სხვადასხვა სუნი აქვს. ზოგ ევკალიპტს ლიმონის სუნი უდის, ზოგს ვარდის, ზოგს პიტნის, ზოგსაც სკიპიდარის. ევკალიპტის ფოთლებში ვიეროვანი ზეთი ბევრია, მისი გამოზდა იოლია და ზეთი იაფე ჯდება. მედიცინასა და მრეწველობაში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ძია გიორგიმ კამასა და შალვას ბალი დაათვალიერებინა. ნახეს უცნაური თვისების ხეები. ეს ხეები მსოფლიოს ყველა ცხელი ქვეყნიდან ჩამოუტანიათ ფოთში: ჩინეთიდან, იაპონიიდან, ახალზელანდიიდან, ინდოეთიდან, ძელონიდან, ფლორიდიდან.

— ხეების ინტერნაციონალია ამ ბალში, — თქვა ძია გიორგიმ.

კამასა და შალვას ეს გამოთქმა მოეწონათ.

— ამ ბალს საცდელი ბალი ჰქვიათ, — თქვა ძია გიორგიმ. — აქ ვცდით, რომელი ტექნიკური კულტურული მცენარე ხიარებს ზენში. კოლხიდაში 225.000 ჰექტარი ქაობი უნდა ამოშრეს. იმ ამოშრობილ ქაობზე ციტრუსები და ტექნიკური კულტურის ხეები უნდა მოვაშენოთ. ტექნიკური მცენარეები ხომ ვაივნეთ, ახლა ვნაზოთ ერთი საკვირველი ხე.

ჩაყენენ თარგს. თარგის გასწვრივ ლამაზად დაეარცხნოდა და გასვებულ მიწაზე დასტადისტად იდგნენ ახალგაზრდა ხეები.

ერთგან შალვამ ტანწვრილი ხეების რიგი შენიშნა. ამ ხეებს უცნაური ფოთლები ჰქონდათ: გრძელი, წვრილი, წვეტიანი. არცერთი ფოთლი ბრტყლად არ იყო წვრილი — ყველა ცერად ესხა, მიწისაკენ დაფურცლებული. ამ რიგში მეტად საამურო სუნი იდგა. შალვამ მიიხედ მოიხედა, არც ვარდი, არც ია არსად იყო.

— ეს ევკალიპტების რიგია, — დაიწყო ძია გიორგიმ — საკვირველი ხეა და კარგად დაიმასსოვრეთ მისი თვისებები. ის მრავლდება თესლით და ნერგით. პირველ წელსვე 2-3 მეტრის სიმაღლეა. ხუთი წლისა რომ გაქდება, 15 მეტრის სიმაღლისაა. ავსტრალიისა და ტანზანიაში, თავის სამშობლოში, ევკალიპტი 80 მეტრის სიმაღლე იზრდება. იმ ხის სწრაფი ზრდა-ზღიჯის რომ შევადაროთ, არც კი დაიჯერებს კაცი

— რა ყოფილა ეს ხე? — წამოიძახა შალვამ.
— მოიცა ვერ, კიდევ გითხრა. ევკალიპტის ყვავი-
ლები სურნელოვანია და ფუტკარს იზიდავს. მშვე-
ნიერ თაფლს იძლევა. ზოგიჯის ევკალიპტის ფოთ-
ლებს საჭონელს აძმევენ, ზოგისას კი ბავშვებს.
შალვამ ხელა ჩააქნია: ახლა კი გვატყუებს ბიძაო,
მაგრამ ხმახმალა ვერ შეკადრა იქვი.

გიორგიმ ისევ გადახარხარა:
— არის შაქრის ევკალიპტი. მისი ფოთლები
შაქრიანია და ბავშვები ქაშენ.

შალვამ და კამამ ერთმანეთს გადახედეს, მერე
ევკალიპტს შეხედეს. ევკალიპტის ვერცხლისფერი
ფოთლები ბრწყინავდნენ და ბრიალებდნენ.

— აბაშეთი თუ გაგიფრინიაო? — იკითხა გიორგიმ.
ბავშვები ღუმდნენ.

— აფრიკაშია ერთი სახელმწიფო. მისი სატახტო
ქალაქს აღის აბება ჰქვია. ამ ქალაქს მოხეტიალე
ქალაქს ეძახდნენ. ქალაქის გარშემო ტყე აჩეხეს, და
ძლიერმა ქარებმა შეაწუხა ქალაქი. ქალაქმა რამდენ-
ნიშევკერ გამოიცივლა ადგილი. ტურისტებმა აბაშე-
თის წეგუსს (იმათი მეფეა) ურჩიეს ქალაქში და
ქალაქის გარშემო ევკალიპტი გააშენენ და ქალაქს
დაგიცავსო. მართლაც დარგეს ევკალიპტები. ის ზომ
ჩქარა იზრდება და გაუმკლავდა ქარებს. ქალაქი
გამაგრდა მიწაზე, შიატოვა ხეტიალი.

კამასა და შალვას სიცილი წასკდათ.

— ჰო და კოლხიდაში დიდი უბედურებაა ზენა.
ქარი. ამ ქარისაგან თავდასაცავად ჩვენ ვიშენებთ
ახლა ევკალიპტებს. ევკალიპტის ტყემ უნდა დაიცვას
კოლხიდა და ციტრუსები ზენა ქარისაგან. ამ ბაღ-

საც ევკალიპტის ტყე შემოვარტყით გარს. ორსამე
წელში ევკალიპტის ტყით დაიფარება მთელი ფოთო-
გარდა ამისა ევკალიპტი მარადმწვანე ხეა. ის ალამა-
ზებს ქალაქებს და ასუფთავებს მის შარბსს. სოფ-
ქვეყანაში ევკალიპტის ზეთს ასხურებენ საწავსმე-
ფოების საღებოფენქვიოდ, ანდა ევკალიპტის ტოტებს
ჩადებენ წყალში, და ევკალიპტის სურნელებით ივლინ-
თება მაკრი.

შალვა უკვე არაფერს ამბობდა. მას ვერ გამოე-
ძებნა ევკალიპტის დამახასიათებელი სიტყვა, ღუმდა
და შინარაფი დალტაცებით უყურებდა ევკალიპტს,
თან ფიქრობდა:

— ახ, რა საუტუხოვო იქნება კოლხიდა, ევკა-
ლიპტის ტყე რომ მოეცება მას...

და გიორგი ბიძიამაც ასე დაამთავრა:

— ევკალიპტი კარგად ხარობს აფხაზეთში, აჭა-
რაში, ფოთში, იგი დაგეხმარება ჩვენ ქაობის ამო-
შრობაში, ციების მოსპობაში და კოლხიდის გაჯან-
საღებაში. ევკალიპტი ციენიანი კოლხიდის ექიმია.
შალვამ ერთი ფოთოლი მოწყვიტა, ჯიბაში ჩაიღო.

— ვინ დამიჯერებს, რომ ასეთი ხე არსებობს?
ფოთოლს მაინც ვაჩვენებ... საკვირველი ხე კი ყოფი-
ლა...

ბაღის კარებთან ერთხელ კადევ გადაავლო ბაღს
თვალს და იხატრა:

— ევკალიპტი ჩქარა იზრდება, ნეტავი შეე
ჩქარა გავიზარდო, ამითან ერთად ქაობი ამოვაშრო და
ეს ლამაზი ხეები გავაშენო...

რადღონს ქოქიძე

შეშოქმედონი

(იბაზი)

ერთ ოჯახში ორი ქალი ცხოვრობ-
და: ბებია და შვილიშვილი. გაზაფხული
იყო და ბოსტანი უნდა დაეთესათ. დედა-
ბერმა უთხრა:

— შვილო, ბოსტანი დათესე — დაგ-
ქირდებო.

ქალიშვილმა უთხრა:

— არა, ბები, მე არ დაუთესავ. რად
მინდა — მე მალე გავთხოვდებო:

ბებერმა უთხრა.

— შვილო, ან მე რად მინდა: „დღეს
არა — ხვალ მოვკვდები, სოფელი ასრე
მქმნელიაო!“

გავიდა გაზაფხული. შემოდგომაზე
დედაბერიც ცოცხალი იყო და ქალიშვი-
ლიც გაუთხოვარი. ორივენი ბოსტნეულო-
სა ნატრობდნენ, მაგრამ არსად ჰქონდათ
და ისხდნენ ხახამშრალნი.

მ. დონაშვილი





პატარა მკითხველებო, თქვენ გიყვართ ლამაზად დაწერილი წიგნი, ლამაზი ლექსი და კარგი სურათები.

თქვენ ეძებთ კარგ წიგნებს, შეიძლება ბევრი არაა ასეთი წიგნი, მაგრამ ნაკლები თანდათან სწორდება.

სახელგამის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის სექტორმა დიდი ხანი არაა რაც ერთი ახალი წიგნი გამოსცა. ამ წიგნის სახელია „ბუ“. იგი ზღაპარია.

შინაარსი არაა რთული.

ბუ, თურმე, ფრინველების მეფე იყო. დიდი თავი ჰქონდა და ყველას ჰქვიანი ეგონა. ამიტომ ფრინველები გარს ეხვეოდნენ, ეალერსებოდნენ, უფლიდნენ, თვითონ კი იბერებოდა, თითქოს სხვები ვალდებული იყვნენ მისთვის სამსახური გაეწიათ.

ბუ თავისთვის იტყოდა ხოლმე: რომ იცოდნენ, თუ რა ძალღონის პატრონიც ვარ, ერთ დღესაც არ მამოგინებდნენო. ამ სიტყვებს ერთხელ ყური მოჰქრა ენატანია ჰინჭრაქამ და ქვეყანას მოსდო. შეკრეს პირი, ბუს წინააღმდეგ აჯანყება გადაწყვიტეს. ბუს მცველები, როცა შორს იყვნენ წასულნი, მაშინ თავიანთ უკუყო მეფეს შემოესიენ .. ამბავი საინტერესოდ ბოლოვდება.

ეს პატარა ზღაპარი პირველყოვლისა იმითაა კარგი, რომ აქ მოცემულია ყოველი ფრინველი თავისი დამახასიათებელი თვისებებით.

ტოროლა ფრინველებს აღვიძებს.

თავქოჩორა ოფოფი თითქოს დალაქია, სავარცხელითა და სარკით მუდამ ბუს უტრიალებს.

ბულბული და მერცხალი სიმღერითა და ჰიკჰიკით ართობენ. მოლაღური ძიძაა.

ჩხიკვი და შოშია სასახლის ხუმარებია.

ყვავი, ქურდი და გაიძვერა, — ხუცესია.

კაქკაქი — ბატონის მეხოტბეა.

ჰინჭრაქა — ჯაშუშია.

მტრედი — შიკრიკი, წერილები დაქონდა და სხვა.

როგორც ჩანს, მრავალი ფრინველია ამ ზღაპარში გამოყვანილი და ყველას თავისი დამახასიათებელი თუ შესაფერისი თვისება აქვს მიკუთვნებული.

ამ წიგნზე ავტორს ძალიან დაკვირვებით უშრომია. ამიტომ არის იგი კარგი და მიმზვიდელი. თქვენ, პატარა მკითხველებო, ყველა წიგნის ასე სიყვარულითა და დაკვირვებით გაკეთებას მოითხოვთ.

„ბუ“ საყურადღებოა სხვა მხრივაც.

იგი დიდი ოსტატობით დასურათებული წიგნია.

ყოველი ფრინველი ისე ლამაზად იქტირება, თითქოს ცოცხალია და სადაცაა ქალაქიდან აფრინდებაო. ერთი შეხედვით ვერც კი წარმოიდგენთ, თუ ის მანქანაში გატარებული საღებავია.

ეს წიგნი სახელგამის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის სექციის მიერ არის გამოცემული. „ბუს“ სახით უკვე ნათლად ჩანს, თუ გამომცემლობა რაოდენ სიყვარულით ეკიდება საბავშვო წიგნის გამოცემის საქმეს.

ტფილისის ერთერთ საბავშვო ბიბლიოთეკაში მკითხველმა ბავშვებმა ამ წიგნის გარჩევა მოაწყვეს. იქ დამსწრე ბავშვებს ძალიან მოსწონდათ „ბუ“.

აღბათ ყველგან ასე სიხარულით შეხვდებიან ამ ლამაზად გაკეთებულ წიგნს.

(გარდაცვალების 20 წლისთავის გამო)

იქ, სადაც ჩრდილი მიწას გაჰკროდა,
 სადაც ალუდა ხმაღს ლესდა ქვაზე
 და ირმის ჯოგი წყნარი ნაბიჯით
 ჩამოდინდა ანკარა წყალზე. —
 დღეს წვერმოხრილი მაღალა ნაძვი,
 მდებლო, არავვი, საღი კლდეები
 გაიძახიან: ვაჟე შენ არ ხარ,
 მაგრამ ჩვენ შორის შენ არ მოკვდები!“
 ვაჟე, შენ არ ხარ! შენი სახელი
 დროთ ვითარებას არ გაჰყოლია
 და ფშავ-ხევსურეთს შენი მემკვიდრე
 ვაჟა მეორე არა ჰყოლია.

პოეტო მთების დუხჭირ ცხოვრების,
 გასურდა სიყალბე ძირით მოგველო,
 შენ გაქირვება რითმით ატირე,
 ახალ ცხოვრების წინამორბედო!
 სადაც გოყოლა ქისტებს ებრძოდა,
 ზვიდაურის ლპებოდა ლეში,
 დღეს გაქიმულა ქარხნების მწკრივი
 და საყვირის ხმაც შეიქრა ტყეში.
 ძველი სამშობლოს დანგრეულ ნაშთებს
 შენი სახელი არ წაჰყოლია
 და ახლა ფშავეტს სინათლით მოცულს,
 ვაჟა მეორე არა ჰყოლია!

პ. თამარაშვილი

მე-3 საც. სან. სკ. მე-9 კლ. მოწაფე.

ზ ა ფ ს უ ლ ი

მზემ სხივები მოაფრქვია
 აყვავებულ მდებლოს,
 სიხარულით ღიმი მოსდის
 თინას, კოტეს, ელოს.

მათ ილიკო შეუერთდა,
 ეთერი და შურა,
 კუდის ქნევით დაედევნა
 მხიარულებს მურა.

მათი მღერა და კისკისი
 მურას ათამაშებს.
 ხან გარბის და ხან გამორბის,
 ხან კი უყფეს ბავშვებს.

ისინი კი სიხარულით
 ბურთს ისვრიან მაღლა,
 ყველა ხარობს და თამაშობს
 არ ეტყობათ დაღლა.

იქით მწვანე ბაღებია,
 აქ კი ფართე ველი,
 ისევ ისმის „მოდი აქეთ,
 მომაროდე ხელი!“

დღეს ბუნებას გაუშლია
 სიხარულის ფრთები
 მხოლოდ შორით, შორით მოჩანს
 დაბურული მთები.

დასავლეთით შავი ზღვაა,
 მოჩანს მუქი ტალღა.
 ხედავ ღრუბელს, წყლით გაჟღენთილს,
 რომ მიიწევს მაღლა?!

მზემ სხივები დაგვაფრქვია,
 აბიბინდა მდებლო,
 მხიარულად იცინიან
 კოლა, მიტო, ელო.

ქარლ შანტშია

(ტფ. ინდუსტ. ტექნიკუმის მოწაფე)

ლოკოლი

ტომი და ვაზნა



მდინარე სტონის ნაპირებზე ოქროს ეძებდა სამი კაცი: დევი, ჯიმი და ენდი. ამ მდინარეში ბლომად იყო სხვადასხვა თევზი, და ენდი ანკესით იჭერდა მათ. ზამთარში გაძნელებულია საჭმელი ანკესის პირს არ ჰკიდებდა. რა ჰქნა? იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს: შეეცადეს ტილოს ტომშიცა, გატენეს ღენთით (თოფის წამლით), გაუკეთეს გრძელი პატრუქი და მგერად მოუკრეს პირი; მერე დააძინეს თავლის სანთელი და იმაში ამოაფურეს ღენთიანი ტომსიცა, რომ წყალს არ დაეველებოდა ღენთი. ვაზნა მზად იყო. ცეცხლს მოუკიდებდნენ პატრუქს, ჩააბლებდნენ წყალში, ვაზნა აფეთქდებოდა და თევზს დახოცავდა. გამზადებული ვაზნა კარავში შეინახეს, თვითონ კი საძლიის საქმელად წავიდნენ.

ჯიმს ჰყავდა ლეკვი, რომელსაც ტომს ეძახდნენ. სადაც კი იპოვიდა რამეს, ტომი დაივლებოდა პირს და ჯიმიდან მიჰქონდა. ერთხელ კატა მოკვდა, და ჯიმი შორს გადაავლო ის ბუჩქებში, რომ ტომს არ მიეგნო. დაწვეწვე ჯიმი, ენდი და დევი და დაიძინეს. დილაადრიათ გაეღვიძათ. კარავში საშინელი მყრალი სუნის იდგა.

— ფუ, ფუ! რა ყარს აქ? — დაიძახა ჯიმი.

— არიქა, დავიხრჩე! — წამოიძახა დევი.

წამოცვივდნენ და დაინახეს, რომ მკვლარი კატა მოეთრია ლეკვს.

მდინარეში ბანაობასაც არ აკლიდა ტომი მათ, ისიც შეეცადებოდა წყალში და ხან ერთს წააფლებდა ფეხში პირს და ხან მგორებს.

ერთ დღეს ენდი აშაბდებდა საძლიის. ჯიმი და დევი იქვე ისხდნენ მახლობლად. უეტრად წამოცვივდნენ ისინი და თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ.

— რა მოხდა, სად ვარბიან? — გაოცდა ენდი. მიიხედ-მოიხედა და შიშით კინაღამ გული წაუვიდა: მის გვერდით იდგა ტომი, პირში ეჭირა გატენილი ვაზნა, პატრუქი კი ცეცხლმოკიდებული იყო. ათიოდ წუთში აფეთქდებოდა ვაზნა და...

თავზარდაცემული ენდიც გაიქცა, მაგრამ ტომი მას დაეღვენა...

ენდი დაეწია ამხანაგებს. ვარბიან, ვარბიან, ლეკვც არ სცილდება მათ. მობრუნდა ჯიმი, დაავლო ხელი ძაღლს, გამოაგლიჯა ვაზნა და შორს გადაისროლა, მაგრამ ლეკვი გაიქცა, დაავლო პირი ვაზნას და ისევ დაეწია მათ.

ენდი ხეზე აცოცდა, ჯიმი თხრილში ჩაგორდა და ჩაწვა, დევი კი სასტუმროსკენ გაიქცა.

ტომი მივარდა იმ ხესთან, რომელზედაც ენდი იყო, დაავლო ვაზნა და მზიარულად დაიწყო ყეფა. თავზარდაცემული ენდი ჩამოხტა, გაიქცა, გადახტა თხრილში ჩაწოლილ ჯიმს და სასტუმროსაკენ მოუსვია. ხედავს, შევარდა დევი იფიანზე და ყველა იქ მყოფი აჭეთ-იქით გაიქცა. მივარდა ენდიც და ერთ ოთახში ჩაიკეტა. მოიბრინა ტომსაც, შევარდა სამზარეულოში, მაგრამ ამ დროს დაინახა მურია, რომელიც ღრენით გამოეცნა მისკენ. დაავლო ლეკვა ვაზნა; მურია მიწვედა ტომს და დაუწყო კბენა. ამ დროს აფეთქდა ვაზნა. აზანზარდა სასტუმრო, რომდენიმე ფანჯრის მინა ჩაიმტვრა, ხუთ ქალს გული შეუწუხდა...

ჯიმი ძლივს წამოადგა თხრილიდან. ის დარწმუნებული იყო, ენდი და დევი ცოცხლები აღარ არიანო. მივიდა სასტუმროში. დევი მთლად კანკალებდა, ენდი კი არსად ჩანდა, დაუწყეს ძებნა და ტახტის ქვეშ იპოვეს. იქ შემძვარიყო თავზარდაცემული...

საბრალო ტომი და მურია მთლად დაეფლითა აფეთქებულ ვაზნას.

ა ბ მ ბ ა ნ ა № 1

24 ასანთისაგან შედგენილია ასეთი ფიგურა. გამოაცალეთ მას 8 ცალი ასანთისგ, რომ მიიღოთ ორი ერთნაირი, ერთმანეთისაგან დაშორებული ფიგურა.

ა ბ მ ბ ა ნ ა № 2

პატარა გივიმ ციალას ექვსი ცალი ასანთი მისცა, მაგრამ ორი ცალი გატეხილია. ამნაირად ციალას ოთხი მთელი და ორიც ნახევარ-ნახევარი, შუა-შუა გატეხილი ასანთები აქვს. ამათგან ციალამ გივის დაელოებით უნდა შეადგინოს სამი კვადრატით. ციალამ იფიქრა და გადაკეთა სამი კვადრატით. როგორ მოიქცა?

ქლ. თაყაიშვილი